საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7332/01
15/07/2021

7332-01-2-202107151243

შპს „ნიკორას“
მის: პ. ქავთარაძის ქ #11

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება N 5707, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- პროექტით დაგეგმილი საქმიანობა არ არის ნარჩენების მართვის იერარქიასა და ეროვნულ სტრატეგიასთან თანხვედრაში, ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს შპს „ნიკორას“ ქსელში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის ინსინერაციას (მაგ; პლასტმასი, საბურავები, ზეთები, საკვები ზეთები; ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, საფეიქრო და სხვა სახის ნარჩენები), ხოლო ნარჩენების აღდგენის ან რეციკლირების მეთოდები დოკუმენტში, მათ შორის ალტერნატიულ ვარიანტებში არ არის განხილული;
- ნარჩენების მართვის კოდექსი ეფუძნება ნარჩენების მართვის იერარქიას, ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებულია ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა. ნარჩენების მართვის კანონმდებლობა, ისევე როგორც სტრატეგიული დოკუმენტები ორიენტირებულია ნარჩენების რეციკლირებასა და ენერგიის აღდგენაზე. ნარჩენების განთავსება ნარჩენების მართვის იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურს წარმოადგენს და იგი შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავების სხვა მეთოდები არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარება რეციკლირებას, ნარჩენების მართვის კოდექსისა და ეროვნული სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მათი დამუშავებისთვის გამოყენებული იქნეს აღდგენის ოპერაციები, რაც განხილული არ არის წარმოდგენილ დოკუმენტში;

- სკოპინგის ანგარიშში განხილულია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ). აღნიშნული ვალდებულების ქვეშ ექცევიან ის პირები, რომლებიც საქართველოს ბაზარზე ათავსებენ ისეთ პროდუქციას, რომლებიც შემდგომში გადაიქცევა სპეციფიკურ ნარჩენად (მაგ: ზეთები; საბურავები; შესაფუთი მასალა; ელექტრონული მოწყობილიბები; ბატარეები და აკუმულატორები; ავტოსატრანსპორტო საშუალებები). აღნიშნული ვალდებულება აწესებს სპეციფიკური ნარჩენების აღდგენისა და რეციკლირების მიზნობრივ მაჩვენებელს (მათ შორის ზეთების, საბურავების და სხვა). ვალდებულების ფუნდამენტური მიზანია სპეციფიკური ნარჩენების განთავსების პრევენცია, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას, გარემოში ნარჩენების მოხვედრას და ემისიების შემცირებას. ნარჩენების წარმომქმნელი ან/და მფლობელი ვალდებულნი არიან, ნარჩენები თავად დაამუშაონ (აღნიშნულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას, ნარჩენების მართვის იერარქია, ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებული პრინციპები და საქართველოს სხვა გარემოსდაცვითი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნები) ან შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების მიზნით გადასცენ შესაბამისი უფლების მქონე პირებს ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ არის და დასაბუთებას საჭიროებს პროექტით გათვალისწინებული შემდეგი სახის ნარჩენების ინსინერაცია: 20 01 01 - ქაღალდი და მუყაო; 20 01 08 - სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენები; 20 01 11 - საფეიქრო ნაწარმი; 20 01 25 - საკვები ზეთები და ცხიმები; 20 01 39 - პლასტმასი; 13 02 05* - ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის მინერალური არაქლორირებული ზეთები და არაქლორირებული ზეთოვანი ლუბრიკანტები; 13 02 06* - ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები; 13 02 07* - ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის ადვილად ბიოდეგრადირებადი ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები; 13 02 08* - ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სხვა ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები; 16 01 03 - განადგურებას დაქვემდებარებული საბურავები (ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს რა ტიპის ნარჩენები მოიაზრება პროექტში მოცემულ 20 01 99 ნარჩენის კოდის ქვეშ);
- სკოპინგის ანგარიშში დასაზუსტებელია ინსინერაციის შედეგად მიღებული მძიმე ნაცრის მართვის საკითხები. დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს სრულყოფილი ინფორმაცია მძიმე ნაცრის შეგროვების, დასაწყობებისა და შემდგომი მართვის საკითხების გათვალისწინებით;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებული კოდი „10 01 15 (10 01 15 - ინსინერაციის/დაწვის შედეგად მიღებული მძიმე ნაცარი და წიდა, რომელიც არ შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს)“ წარმოადგენს ნარჩენის სარკისებურ კოდს. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების თანახმად, მე-5 მუხლის, მესამე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის II დანართში ხელმისაწვდომია სარკისებური კოდი, ნარჩენების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს სახიფათო ნარჩენებად, ვარსკვლავით (*) აღნიშნული კოდით. ამავე დადგენილების შესაბამისად, ნარჩენებს შესაძლებელია

მიენიჭოს არასახიფათო ნარჩენების კლასიფიკაცია იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების წარმომქმნელი მიმართავს ასეთი მოთხოვნით სამინისტროს და წარადგენს წარმოქმნილი ნარჩენების არასახიფათოობის შესახებ მტკიცებულებას. წარმოქმნილი ნარჩენების არასახიფათოობის შესახებ მტკიცებულება უნდა მოიცავდეს აკრედიტებული ლაბორატორიის დასკვნას ნარჩენების არასახიფათოობის დასადგენად, ნარჩენების შემადგენლობაზე ჩატარებული ანალიზების საფუძველზე, ან/და იმ პროცესების/საქმიანობის მახასიათებლების შეფასებას, რომლიდანაც წარმოიქმნება ნარჩენები.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს სკოპინგის დასკვნა.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე